საინფორმაციო ფურცელი
სს „თიბისი ბანკის“ სესხზე მიბმული ქონების დაზღვევის პირობები #TP/21

სს „თიბისი ბანკის“ სესხზე მიბმული ქონების დაზღვევა #TP/21

გამარჯობა,

თქვენ ეცნობით სს “თიბისი ბანკის” სესხზე მიბმული ქონების სავალდებულო დაზღვევის ძირითად პირობებს. აღნიშნული საინფორმაციო ფურცელი არ შეიცავს ამომწურავ ინფორმაციას და იგი არ არის დაზღვევის ხელშეკრულების ტოლფასი. შესაბამისად, მისი გაცნობა არ წარმოშობს ჩვენს შორის სამართლებრივ შედეგებს.

მზღვეველი ორგანიზაციაა: სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“
ანაზღაურების მიმღები (მოსარგებლე) ორგანიზაციაა: სს “თიბისი ბანკი”
მზღვეველის მისამართი: ქ. თბილისი, ვ. ბოჭორიშვილის ქ.N88/15
მზღვეველის ცხელი ხაზი / ტელეფონი: +995 32 2 949 949

დაზღვევის ხელშეკრულების სახე
წინამდებარე დოკუმენტი შეიცავს სს “თიბისი ბანკის” სესხზე მიბმული ქონების სავალდებულო დაზღვევის პირობების შესახებ მოკლე ინფორმაციას. თქვენ მიერ შესაბამისი დაზღვევის შეძენის შემთხვევაში, გადმოგეცემათ დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი “პოლისი”, რომელიც მასში მითითებულ დაზღვევის პირობებსა და ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობებთან ერთად, წარმოადგენს დაზღვევის ერთიან ხელშეკრულებას. თქვენს მიერ დაზღვევის შეძენა გულისხმობს, რომ დაეთანხმეთ საიტზე განთავსებულ და პოლისში მითითებულ დაზღვევის პირობებს N TP/21

რა არის დაზღვეული?
თქვენს და სს „თიბისი ბანკს“ შორის გაფორმებული საბანკო კრედიტის უზრუნველსაყოფად დატვირთული შენობა-ნაგებობები მათი განუყოფელი კონსტრუქციული ელემენტების ჩათვლით.

რა ტერიტორიაზე ვრცელდება დაზღვევა?
სადაზღვევო პოლისში მითითებული მისამართი, სადაც მდებარეობს დაზღვეული ქონება და რომლის ფარგლებშიც მოქმედებს ხელშეკრულებით განსაზღვრული დაფარვა.

სადაზღვევო თანხა / ანაზღაურების ლიმიტი არის თქვენს და სს „თიბისი ბანკს“ შორის გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაზე თავდაპირველად დამტკიცებული სესხის თანხის ექვივალენტი რომლის ფარგლებშიც მზღვეველი ვალდებულია სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევისას, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება მოსარგებლებზე
სადაზღვევო თანხის მაქსიმალური ლიმიტი ერთ ობიექტთან მიმართებაში არაუმეტეს 1,000,000 აშშ დოლარის ან მისი ექვივალენტისა სხვა ვალუტაში.

რისგან ხართ დაზღვეული?
- ხანძარი

- მეხის დაცემა
- აფეთქება
- პილოტირებული საფრენი აპარატების, მათი ნაწილების ან მათგან გადმოვარდნილი საგნების დაცემა დაზღვეულ ქონებაზე
- სტიქიური მოვლენები, კერძოდ: სეტყვა, წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი, ზვავი, გრუნტის დაწევა (მაგრამ არა ხელოვნურად გამოწვეული), ძლიერი ქარი (ჰაერის მასების მოძრაობა 25მ/წმ ზე მეტი სიჩქარით), რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი ატმოსფერული პროცესებით;
- წყალდიდობა - დაზღვეულ შენობაში წყლის გარედან შეღწევა იმ მიწის ზედაპირის დატბორვის შედეგად, რომელიც ჩვეულებრივ არ არის დაფარული წყლით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაზღვეული ქონებისთვის მიყენებული ზიანი გამოწვეულია სადრენაჟო სისტემების არასწორი მართვით, საზოგადოებრივი წყლის მილების გასკდომით, ან შენობის საძირკველში არსებული სადრენაჟო და საკანალიზაციო მილების მწყობრიდან გამოსვლით.
- მიწისძვრა - რომლის სიმძლავრეც ნაკლები ან ტოლი იყო 4.0 მაგნიტუდაზე რიხტერის შკალით.

თქვენი ფინანსური თანამონაწილეობის შესახებ

დაზღვევის შესაძენად, უნდა გადაიხადოთ სადაზღვევო პრემია მოსარგებლის მეშვეობით, თქვენს მიერ შერჩეული და მოსარგებლესთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, რაც ასახული იქნება პოლისში. თქვენი ფინანსური თანამონაწილეობა, ასევე შესაძლოა განისაზღვროს ფრანშიზის ოდენობით, რომლის ოდენობა მითითებული იქნება პოლისში. ასეთ შემთხვევაში, თითოეულ სადაზღვევო შემთხვევაზე გასაცემ ანაზღაურებას დააკლდება სადაზღვევო პოლისში მითითებული ფრანშიზის ოდენობა.

ფრანშიზა

სადაზღვევო თანხის 2% მინიმუმ 200.00 (ორასი) აშშ დოლარი მაგრამ, სადაზღვევო თანხის 5% მინიმუმ 1 000.00 (ერთი ათასი) აშშ დოლარი სტიქიური მოვლენების შემთხვევაში.

როგორ აქტიურდება სადაზღვევო პოლისი?

სს „თიბისი ბანკსა“ და თქვენ მიერ გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე კრედიტის გაცემისა და პოლისის ხელმოწერისთანავე.

როგორ მოიქცეთ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას?

სადაზღვევო შემთხვევის დროს დამზღვევი ვალდებულია გონივრულ ვადაში შეატყობინოს სადაზღვევო შემთხვევის შესახებ შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს და მზღვეველს ცხელ ხაზზე +995 32 2 949 949

რა არ ანაზღაურდება?

დაზღვევას არ ექვემდებარება:

- **ნაღდი ფული ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში; აქციები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები;**
- **ხელნაწერები, ფოტოსურათები, ნეგატივები, გეგმები, სქემები, ნახაზები და სხვა დოკუმენტები, საბუღალტრო და საქმიანი წიგნები და იქ განთავსებული ინფორმაცია;**
- **მოდელები, მაკეტები, ნიმუშები, ფორმები და ა.შ.;**

- ძვირფასი და იშვიათი ლითონები, მავთულების, ზოდების, ქვიშის, თვითნაბადი ფორმით, ასევე ძვირფასი თვლები, საიუველირო ნაკეთობები, ბეწვეული;
- ქონება გამოფენაზე ექსპონირების დროს;
- ინფორმაციის ტექნიკური მატარებლები, მაგნიტური ფირები და კასეტები, მაგნიტური დისკები და მეხსიერების ბლოკები და მათზე განთავსებული ინფორმაცია;
- მარკების, მონეტების, ფულადი ნიშნების, ბონების და სხვა მსგავსი ტიპის საკოლექციო ერთეულები, ასევე ნახატები, სურათები, ქანდაკებები და ხელოვნების სხვა ნიმუშები;
- მომწავლავი, კაუსტიკური და ასაფეთქებელი ნივთიერებები;
- იარაღი, საბრძოლო მასალა;
- დაუსრულებელი მშენებლობის ობიექტები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონსტრუქციას გააჩნია ფუნდამენტი, კედლები, გადახურული კარკასი, კარები და შემინული ფანჯრები (თუ დასაზღვევი ობიექტი არ არის შემინული, გამონაკლისია წვიმით, სეტყვით და წყალდიდობით მიყენებული ზიანი), თუ სამშენებლო პროექტი ითვალისწინებს ასეთი არსებობას;
- ცხოველები და მცენარეები, მარცვლოვანი კულტურები;
- ფეთქებადი ნივთირებები;
- კვების პროდუქტები;
- ხისგან აგებული მზიდი კონსტრუქციის მქონე ნაგებობები;
- ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ნაგებობები;
- მიწის დონეზე ქვემოთ განლაგებული ნაგებობები;
- ისეთი არასაცხოვრებელი ფართები, რომლებიც გამოიყენება საწყობად და ამავე დროს არ არის დამონტაჟებული ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები (ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაცია, ცეცხლმაქრობები, "სპრინკლერები");
- სატრანსპორტო საშუალებები (საჰაერო, სარკინიგზო, სახმელეთო); სამშენებლო/სასოფლო-სამეურნეო დანადგარები;
- შენობებისა და ნაგებობების გარე კედლებზე დამაგრებული ობიექტები: ანძები, ანტენები, ღია ელექტროსადენები, სარეკლამო დანადგარები, ბილბორდები, ვიტრინების ფარდულები და ა.შ;
- სწრაფი გადახდის აპარატები (ავტომატები), რომლებიც იღებენ გადახდას მონეტების ან ჟეტონების სახით, ბანკომატები;
- შესანახად გადაცემული ან შემოწმების პროცესში მყოფი საქონელი;
- მიწისქვეშა კომუნიკაციები;
- კავშირგაბმულობისა და ელექტროგადაცემის ხაზები, ასეთი ხაზების დაზღვევა შესაძლებელია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი შედიან უშუალოდ დაზღვეული შენობა-ნაგებობების შემადგენლობაში.
- ქონება, რომელიც იმყოფება დაზღვევის ტერიტორიაზე, მაგრამ არ წარმოადგენს დამზღვევის საკუთრებას;
- მიწის ნაკვეთები, ხიდები, გადასასვლელები, გზები, ასფალტირებული მონაკვეთები;
- შენობის შიდა მოპირკეთება (რემონტი);
- შენობის შიგთავსი, მათ შორის ავეჯი, საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნები და ელ. მოწყობილობები;
- ყველა სახის ენერგო და ნავთობქიმიური რისკის მატარებელი ნაგებობა და დანადგარი, მათ შორის ნავთობის/საწვავის საბურღი დანადგარები, მილსადენები, ენერგოგადამამუშავებელი და გამწმენდი ქარხანები, ჭაბურღილები;

- შენობები, რომლებიც აგებულია 1954 წელზე ადრე;
- შენობები, რომელთა საბაზრო ღირებულებაც აჭარბებს 1000000.00 (ერთი მილიონი) აშშ დოლარს;
- ავარიული შენობა-ნაგებობები, ან შენობები, რომლებიც სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმების პროცესში იმყოფებიან კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ ოფიციალურად აღიარებულ შესაძლო სტიქიური უბედურების ზონაში.

საერთო გამონაკლისები:

წინამდებარე პირობებით არ იფარება ქონების განადგურება ან დაზიანება, რომელიც დაკავშირებულია, ან გამოწვეულია ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზებით:

- ბირთვული ენერგიის გამოყენება ნებისმიერი ფორმით და ამ გამოყენების შედეგები, რადიაცია, რადიოაქტიური დაბინძურება, მაიონიზებელი გამოსხივება; რადიოაქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადსაშიში ან სხვა მავნე ნივთიერებების ზემოქმედება;
- ქიმიური, ბიოლოგიური ან ელექტრომაგნიტური იარაღის გამოყენება;
- ომი (გამოცხადებული ან გამოუცხადებელი), სამხედრო გადატრიალება, შემოჭრა, ნებისმიერი სახის საომარი ქმედებები და მათი შედეგები, ნებისმიერი აღიარებული ან არაღიარებული ხელისუფლების შეიარაღებული ძალების თავდასხმა ხმელეთიდან, ჰაერიდან ან ზღვიდან, ან ასეთი თავდასხმის უშუალო საფრთხე; სამხედრო ღონისძიებები; სამოქალაქო ომი; აჯანყება, რევოლუცია, ამბოხი, ტერორისტების ქმედებებით ან ასეთის მცდელობა, ასევე მათ ჩახშობაზე მიმართული ხელისუფლების ქმედებები, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ გამოცხადებული განსაკუთრებული, საგანგებო, სამხედრო მდგომარეობა, სახალხო მღელვარება, მასობრივი არეულობა, გაფიცვები და ლოკაუტი;
- ქონების კონფისკაცია, რეკვიზიცია, ექსპროპრიაცია, დაყადაღება, სამხედრო ან სამოქალაქო ხელისუფლების განკარგულებით/ბრძანებით დაზღვეული ქონების განადგურება ან დაზიანება;
- დამზღვევის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელის მიერ ჩადენილი განზრახი ქმედება, ან უხეში გაუფრთხილებლობა, მათ შორის კანონით ან სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი სახანძრო ან სხვა ტიპის უსაფრთხოების ზომების დარღვევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შესაბამისი ნორმებიდან გადახრა შეთანხმებულია სპეციალურ სახელმწიფო სტრუქტურებთან (წინამდებარე მუხლის მიზნებისთვის უხეშ გაუფრთხილებლობად არ ჩაითვლება მცირეწლოვანი ბავშვების ქმედებები);
- დაზღვეული ქონების ბუნებრივი ცვეთით ან მისი თვისებების თანდათანობითი დაკარგვით; ქონების ფერის, სუნის, სტრუქტურის ან ფორმის ცვლილებით მისი ბუნებრივი თვისებების შედეგად;
- კოროზიით, ჟანგვით, დუღილი, თვითაალებით, ბაქტერიებით ან სოკოთი, ლპობით, ცვეთით, ეროზიით, მაღალი და ცვალებადი ტემპერატურით, ფერმენტაციით ან სხვა ბუნებრივი პროცესები (თვისებებით);
- ჩრჩილით, მწერების, მღრღნელების და სხვა მავნებლების მიერ.
- წყალმომარაგების, გათბობის და სხვა მსგავსი სისტემების გადახურებითა და გადატვირთვით;
- დაზღვეული შენობა-ნაგებობების დეფექტებითა და ნაკლოვანებებით, რომლებიც არსებობდა დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის და რომელიც ცნობილი უნდა ყოფილიყო დამზღვევისთვის ან მისი უფლებამოსილი პირებისთვის; წარმოების დეფექტები, უხარისხო მასალები, პროექტირების, დაგეგმარების და დიზაინის შეცდომები;

- დაზღვეულ ობიექტში ან ნაგებობაში თოვლის, სეტყვის ან წყლის შეღწევით ღია ფანჯრებიდან ან კარებიდან, ასევე სხვა ნაპრალებიდან, რომელიც გაკეთებულია მიზანმიმართულად, ან წარმოქმნილია დაზღვეული ობიექტის სიძველით ან სამშენებლო დეფექტით;
- დაზიანება გამოწვეულია დაზღვევამდე არსებული მიზეზებით.
- ფუნდამენტების, კედლების, მზიდი კონსტრუქციების ან გადახურვების, საინჟინრო ნაგებობების დაწევა, დასკდომა, შეკუმშვა, გაფართოება ან ამობურცვა;
- დაზღვეული ქონების დაზიანება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოების მსვლელობისას, ასევე დაზღვეული შენობების რეკონსტრუქციის ან გადაიარაღების დროს;
- მოკლე ჩართვა, თუმცა დაფარვას ექვემდებარება ასეთი მოკლე ჩართვის შედეგად გამოწველი ხანძრის მიერ დაზღვეული მიყენებული ზიანი.
- წინამდებარე პირობებში მითითებული დაფარული რისკების გარდა სხვა რისკებით.
- დაზღვეული ქონების ცვლილებებისა და გაუმჯობესებისთვის გაწეულია დამატებითი ხარჯები;
- დანახარჯები გაწეულია პროფილაკტიკურ, დროებით, დამხმარე რემონტზე, ნებისმიერ პრევენციულ ღონისძიებაზე;
- თუ დამზღვევმა განზრახ აარიდა თავი ქონების გადასარჩენად აუცილებელი ზომების მიღებას
- ზიანი ან დაზიანება რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამომდინარეობს კიბერ რისკების ან კიბერ თავდასხმების შედეგად;
- მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი უზრუნველყოს სადაზღვევო დაფარვა, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი სახის ზარალის ანაზღაურება ან რაიმე სახის მომსახურების თუ სარგებლის მიწოდება იმ შემთხვევაში, თუკი ამგვარი მოქმედება მზღვეველის მხრიდან გამოიწვევს იმ სანქციების, აკრძალვების, შეზღუდვების დარღვევას, რომელიც გამომდინარეობს: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებიდან, ვაჭრობის და ეკონომიკურ სფეროში არსებული სანქციებიდან, ევროკავშირის, საქართველოს და შეერთებული შტატების კანონებიდან და რეგულაციებიდან (იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ქმედება არ არღვევს მზღვეველზე გავრცელებად რეგულაციებს ან შიდა კანონმდებლობას).

ანაზღაურების ძირითადი პირობები

დამზღვევსა და მოსარგებლეს შორის გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებაზე მზღვეველისთვის მოთხოვნის (წერილობითი ფორმით) წარდგენის საფუძველზე, მზღვეველის მიერ ჯამურად გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურება არ შეიძლება აღემატებოდეს ჯამურ სადაზღვევო თანხას.

მზღვეველის მიერ ზარალის დარეგულირება და ზარალის ანაზღაურებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება დამზღვევის მიერ მზღვეველისთვის ზარალის რეგულირებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაციის მიწოდებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

სადაზღვევო შემთხვევის სრულად შეფასებისა და ზიანის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ მზღვეველი გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას მოსარგებლის მიმართ (უნაღდო ანგარიშსწორების გზით), დამზღვევსა და მზღვეველს შორის ზარალის ოდენობაზე საბოლოო

წერილობითი შეთანხმების - სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირებვის აქტზე - ხელმოწერიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

გმადლობთ, რომ სარგებლობთ ჩვენი მომსახურებით!